

სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
 უნივერსიტეტის გამომცემი
გამოცემის 1957 წლიდან

№1 (259) იანვარი, 2013 წ. www.tsmu.edu

გაზეთი



ნომერები:



**ეკლვანა აკადემიკოს
 თამარ ღვინაძის
 დაბადებიდან 90
 წლისთავს
 33. 3-4-5**

**მრავლობითი
 ჰემარტოზის
 სინდრომი და მასთან
 ასოცირებული
 დაავადებები
 33. 4-5**

**ექიმის პორტრეტი
 „ჩემი ჰოზი ჩემი
 პროფესია...“
 33. 6**

**რა უნდა ვიცოდეთ
 გამაჯანსაღებელი
 სპორტული პარკების
 დაწყების წინ
 33. 7**

**ისინი, ვინც
 დაგვაკლდნენ
 33. 7**

„სამედიცინო გაზეთის“

რედაქცია:
 ვაჟა ფშაველას გამზირი №33;
 ოთახი №600
 ტ.: 254-24-64

რედაქტორი
დალი გაბაშია
 ტ.: 599 76-25-98
 კორექტორები:
მანანა ზსალაძე
 ტ.: 555 29-98-27
დარეჯან კომლაძე
 ტ.: 558 17-08-47
ნატო ბოლქვაძე
 ტ.: 555 28-28-97
 ელ.ფოსტა:
medpressa@yahoo.com

პერიოდის იუბილე

ერის სულიერი წინამძღოლი



სულ ახლახან საქართველოს მოსახლეობამ ერის საყვარელი მოძღვრის და სულიერი წინამძღოლის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთის და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის დაბადებიდან 80 და აღსაყდრების 35 წლისთავი საზეიმოდ აღნიშნა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ერის წინაშე განეული უდიდესი ღვანლისთვის უწმიდესი საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმიდა გიორგის ოქროს ორდენით დაჯილდოვდა. რომელი ჯილდო თუ თავყვანისცემა დაიტევს, გამოხატავს თუ შეესაბამება იმ დიდ ამავს, რაც მან დასდო ერს და სამშობლოს?

...ვფიქრობთ, განსაკუთრებული მორაა იმაში, რომ გამორჩეული ძნელებლობის თუ შეჭირვების ყამს, მოულოდნელად და გასაოცრად, თითქმის წაგებული თუ უიმედო მდგომარეობიდან გამოვსულვართ, უზარმაზარი წყალობა დაუშვია უფალს და ყოველადწმიდა ღვთისმშობელს თავისი ქვეყნისთვის. ასეთი წყალობა და ნუგეშია ერისთვის უწმიდესის მოღვაწეობა, მისი სიტყვა და საქმე...

35 წლის წინ, 1977 წელს, აღესრულა ღვთის განგება და პატრიარქის ტახტზე აღსაყდრდა ილია II-დ წოდებული პატრიარქი, ხევის საყვარელი გმირის, ვაჟკაცობით და უშიშრობით ცნობილი შიოლა ლუღუშაურის შთამომავალი.

მოყოლებული ამ დროიდან ერის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი, პოზიტიური მოვლენები სწორედ პატრიარქ-

ის მოღვაწეობას დაუკავშირდა, რადგან მისი სტატუსი, რეგალია თუ საქმიანობის არეალი იმთავითვე არა მხოლოდ სარწმუნოებრივ, არამედ სახელმწიფოებრივ დატვირთვასაც მოიაზრებდა. ასეა დღესაც.

რომელი ერთი უნდა გავიხსენოთ ამ ხნის მანძილზე განეული მისი ღვანლიდან: ჯერ კიდევ ათეიზმის ზეობის პერიოდიდან ჩვენი პატრიარქის თავგამოდებულმა ბრძოლამ და ქმედებამ ათეიზმით გონებამონამლული ადამიანები თანდათან დაუბრუნა წინაპრების მიერ სისხლით და თავგანწირვით შენარჩუნებულ სარწმუნოებას. დღეს კი მისი ძალისხმევის სასიხარულო შედეგი ყველასთვის თვალსაჩინოა: ეკლესია-მონასტრები ვერ იტევს მრევლს, რომელიც რწმენაში თანდათან ძლიერდება, რწმენაში ძლიერი ადამიანი კი საიმედო დასაყრდენია ერის, ოჯახის, მოყვასისთვის...

სწორედ უწმიდესის შრომით და ძალისხმევით წარმატებით დაგვირგვინდა ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიისთვის; დიდია მისი წვლილი სასულიერო აკადემიის დაარსებასა და ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობის პროცესში, რომლის გვირგვინიც სამების საკათედრო ტაძარია; საყოველთაოდ ცნობილია პატრიარქის დამოკიდებულება ქართული ენის დაცვისა და სინდისისთვის; ყველაზე დიდ ეროვნულ პოლიტიკად და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ გადადგმულ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად უნდა

ჩაითვალოს უწმიდესის ინიციატივა მის მიერ ოჯახის ყოველი მესამე ბავშვის მონათვლის შესახებ; როგორ არ გავიხსენოთ 1989 წლის 9 აპრილი და 2008 წლის აგვისტო – ერის ისტორიის უმძიმეს პერიოდებში, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, პატრიარქის თანადგომა ხალხისადმი.

განსაკუთრებულია პატრიარქის ზრუნვა მომავალი თაობის აღზრდის თვალსაზრისით, რაზეც ქადაგებებშიც მუდმივად ამახვილებს ყურადღებას; დიდია მისი წვლილი მეცნიერების და კულტურის განვითარების ხელშეწყობისთვის; ცალკე თემაა პატრიარქის მოღვაწეობა შემოქმედებითი კუთხით: ჭეშმარიტი ნიჭის, ხელოვნების დამფასებელი და ქომაგი, თავადაც მნიშვნელოვან ნიჭყვას ამბობს მუსიკასა თუ ფერწერაში – საყოველთაოდ ცნობილია მის მიერ შექმნილი საგალობლები, ფერწერული ნამუშევრები, ხატები...

„საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“, – ბრძანებს წმინდა წერილი; გაგვიჭირდება და შეუძლებელიცაა ჩვენი პატრიარქის მიერ აღსრულებულ კეთილ საქმეთა სრულად გადმოცემა თუ წარმოჩენა; სწორედ ამ ღვანლმა და პირადმა თვისებებმა: გულმონყალება და სიქველემ, სიბრძნემ და სიძარბაისლემ, დიპლომატიურობამ და სიმტკიცემ განსაზღვრა თუ განაპირობა მისი განუზომელი ავტორიტეტი, რასაც ვერ მოერია ვერანაირი განსაცდელი თუ შემოტევა...

პატრიარქის დაბადების და აღსაყდრების საიუბილეო თარიღებს, ბუნებრივია, ჩვენი უნივერსიტეტიც გამოეხმაურა – ჩატარდა საღამო სახელწოდებით: – „ღმერთი... სამშობლო... ადამიანი...“ – საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი და პატივსაცემი ადამიანების მონაწილეობით და ესეც, ისე როგორც მრავალი ღონისძიება პატრიარქის პატივისცემის ნიშნად გამართული, გამოხატულება იყო იმ დიდი სიყვარულისა, რასაც გრძობს თითოეული ჩვენგანი ამ გამორჩეული მოღვაწისადმი.

სულ რამდენიმე წლის წინ პატრიარქმა შექმნა „საქართველოს იმედის“ ხატი, რომელიც, სასწაულქმედების ძალით, სწორედ რწმენით და იმედით მლოცველთ შეენევა. გვჯერა, მართლმორწმუნეები მას ქვეყნის და საკუთარი ოჯახების კეთილდღეობასთან ერთად პატრიარქის ჯანმრთელობასაც ავედრებენ, რადგან სწორედ რომ სასწაულმოქმედ იმედად და მეოხად ესახება მისი არსებობა თითოეულ ქართველს. მამ, შევთხოვოთ უფალს დღეგრძელობა ჩვენი უსაყვარლესი პატრიარქის, რათა დიდხანს, დიდხანს ვისმენდეთ და ვითვალისწინებდეთ მის ბრძნულ შეგონებებს.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია

ქრისტი იშვა!.. გიხაროდნ!



7 იანვარს მართლმადიდებლურმა სამყარომ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული იზეიმა. შობა საქართველოს მოსახლეობას, ჩვეულებისამებრ, დიდი სიყვარულით მიულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთის და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

ვფიქრობთ, საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი მართლმადიდებელი ქრისტიანი, განურჩევლად სოციალური წარმოშობის, თანამდებობის, რეგალიის თუ პროფესიისა, ვალდებული არა მხოლოდ ყურადღებით ისმენდეს, არამედ ხელმძღვანელობდეს პატრიარქის სიტყვით, მისი რჩევებით. სწორედ ამ რწმენის თუ მოსაზრების გათვალისწინებით ჩვენი გაზეთის ფურცლები მუდამ ეთმობოდა პატრიარქის ეპისტოლეებს და ქადაგებებს.

მკითხველს მცირეოდენი შემოკლებით ვთავაზობთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია II-ის საშობაო ეპისტოლეს, სადაც, როგორც ყოველთვის, იგი ბევრ საგულისხმოს და საყურადღებოს აღმოაჩენს.

ათასწლოვანი მოლოდინი კაცთა მოდგმის სხნისა დასრულდა. აღსრულდა მრავალთაობათა ნატურა, - იშვა იესო. ოცი საუკუნის წინ აღმოზარდა ბეთლემის ვარსკვლავი დღეს კვლავ ამცნობს სამყაროს ერთი მიუწვდომელ საიდუმლოს ღვთის განხორციელებისა; სასწაულს, რომელსაც ვერასოდეს ჩასწვდება ადამიანური გონება. საოცრებას, რომელსაც ვერასოდეს წარმოიდგენდა თვით ანგელოსთა დასიც...

სულიწმიდის მადლი, რითაც შემოქმედთან კავშირი ხორციელდებოდა და რაც ღმერთთან მათი მსგავსების განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი იყო; ამ მადლს მოკლებულნი, მოაკლდნენ სწორ აზროვნებასა და ქმედებასაც. ცოდვას ცოდვა შესძინეს და საკუთარ თავს მარადიული სიკვდილი განუმზადეს. ამ რეალობის შეცვლის შესაძლებლობა კი აღარ არსებობდა, რადგან კაცთა სხნა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელიც უცოდველი იყო და ხელნიფებოდა სხვათა სიმძიმე ეტვირთა.

ყოველივე ხილულის და უხილავის შემოქმედმა და განმგებელმა ცანი მოდრიკნა, ადამიანური ბუნება მიიღო და ჩვენი სხნისთვის დაავითის ქალაქში, ბეთლემში, იშვა. აქ, ბაგაში, სიცხვესა და სიმწარეში დაიბადა ახალი ადამი - იესო, რათა ამპარტავნებით დაცემული ძველი ადამის ცოდვა გამოეყვიდა, მართალთა სულიერი ჯოჯოხეთიდან ეხსნა და ღმერთთან კავშირი აღედგინა. აი, ეს არის დიდი სიხარულის მიზეზი,

უმრავლესობა ვერ გვიბასუხებს, მაინც რა მიზნით მიიღო კაცობრივი ბუნება უფალმა? რა შეიცვალა მისი მოსვლით დედამიწაზე? ადამი შემოქმედმა ხატად და მსგავსად თვისა შექმნა და სამოთხეში ნანატრი ცხოვრება უბოძა, მაგრამ სამყაროს გვირგვინად და განმგებლად დადგენილი კაცი თავისი ნებით, ამპარტავნებითა და უპასუხისმგებლო ქცევით ღმერთს განუდგა და მაცდურის მიწობაში აღმოჩნდა. მასთან ერთად დაცა მიწიერი სამყაროც, რომელიც მას ექვემდებაროდა.



ღვთის მადლით აღვსილი ჰარმონია, წმინდა მატერიალური აღმსარებლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეშმაკის ტირანიით განმსჭვალულმა სიძულვილმა და ურთიერთდაპირისპირებამ შეცვალა; ეს მდგომარეობა აისახა როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობებში, ისე ცხოველთა, მცენარეთა და, საერთოდ, მთელი ბუნების არსებობის წესში: ყველაფერი დაქვემდებარა პრინციპს - ბრძოლა არსებობისთვის.

სათავე ერთი გამოუთქმელი ბედნიერებისა.

...როგორ ხორციელდება პირველქმნილი ჰარმონიასთან ჩვენი დაბრუნება?

პირველ რიგში ქრისტიანული ნათლისღებით. „**ბუჭყედი მონიჭებული არს სულისა მიერ წმინდისა, ამინ!**“ - ამბობს საიდუმლოს აღსრულებისას მოძღვარი და შვიდჯერ სცხებს მირმის მას, ვინც ინათლება, რითაც ადამიანს ენიჭება სულიწმიდის მადლი და ეძლევა განმტკიცებისა და ნეტარი მარადიულობის დამკვიდრების შესაძლებლობა...

ჩვენი წინაპრები შეიღებეს ბავშვ-



ვობიდანვე უღვივებდნენ პასუხისმგებლობის გრძობას... ოჯახში, სოფელსა თუ თემში ყველას თავისი პასუხისმგებლობა ჰქონდა: მეფე ზრუნავდა მთელს ერზე, თავად-აზნაურობა პატრონობდა და ხმლით იცავდა თავის ტერიტორიაზე მცხოვრებთ; ეკლესია ანათლებდა და სულიერად ამტკიცებდა ერს; გლეხები ქმნიდნენ დოვლათს; ყველანი ერთად ერთი შეადგენდნენ ჩვენი ქვეყნის ერთიან, მთლიან ცოცხალ ორგანიზმს, სადაც თითოეული თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ემსახურებოდა ღმერთს და ქვეყანას. რომელიმე მათგანის დასაბუნება იწვევდა ყველას დაუსტებას, რადგან არც ერთი მათგანის ფუნქცია არ იყო უმნიშვნელო. თუმცა რაც უფრო მაღალი იყო წოდება და თანამდებობა, მით მეტი იყო პასუხისმგებლობაც. ეს კი ხშირად სიცოცხლის განირვას მოითხოვდა, ზოგჯერ მეფის ან სასულიერო პირის, მაგ: წმიდა დემეტრე თავდადებული, წმიდა ევდემოზ კათალიკოსი; ზოგჯერ - მთელი ერის, მაგ: 100 000 მოწამე...

თავისუფლება და პასუხისმგებლობა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ვინც თავისუფლებას კარგავს, მონურ მდგომარეობაში ვარდება და პასუხისმგებლობის განცდაც უქვეითდება. გავიხსენოთ, რა მოხდა დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საქართველოში:

მთელი ეს ჰარმონიული სისტემა მოიშალა, მეფის ხელისუფლება და ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმდა, ძალაუფლება უცხო ძალის ხელში გადავიდა, რის შედეგადაც თავდაზნაურობა უგულო ბატონად იქცა, ყოველივე ეს კი მთელი სიმწვავით გლუხკაცობაზე აისახა. ქართველმა კაცმა მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი ძირფესვიანად შეცვალა. საქვეყნო საზრუნავის ადგილი პირადულმა დაიკავა. სამშობლოზე ფიქრის ნაცვლად მისი გონება მხოლოდ საკუთარ კარ-მიდამოსა და ოჯახზე ზრუნვამ მოიცვა. დიდმა ილიამ ეს პრობლემა ცნობილი ლექსით - „ბედნიერი ერი“ - ნათლად დაგვანახა. ერის უპასუხისმგებლო მდგომარეობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ 1918 წელს წმინდა ილია მართლის ეროვნული გზის ნაცვლად ხალხმა უცხო ქვეყნის ათეისტური პარტია აირჩია. შემდეგ კი უფრო სამწუხარო შედეგმაც არ დააყოვნა და მოკლე ხანში ქვეყანა კომუნისტური იმპერიის ნაწილი გახდა. უფალი, მართალია, სამართლიანია, მაგრამ, ამავე დროს - მოწყალეც, რომელიც არა ჩვენთაებრ მოგვაგებს, არამედ ჩვენი გამოსწორებისთვის გვეწვთვნის იმის გათვალისწინებით, თუ რამდენს დატევნა შეგვიძლია...

ცოცხლის აზრიც ნათლად გავაცნობიეროთ.

...დღეს ინფორმაციული ომის უამი დგას, კალმით, ანუ სიტყვით ბრძოლის დრო. მასთან შეჭიდება კი გონიერმა, მცოდნე და ღვთისმოყვარე ადამიანებმა უნდა იტვირთონ. უნდა შევძლოთ ყალბი იდეალების ბატონობის ჩვენს ხანაში გავხდეთ სულიერად უფრო მტკიცენი და ძლიერნი, რათა გავიმარჯვოთ.

განსაკუთრებით მინდა მივმართო ახალგაზრდებს და ვიზოვო: გაუძელით ინფორმაციულ შემოტევას, რომელიც ნიაღვრებით მოედინება მასმედიიდან და ცდილობს ცრუ ღირებულებების გავლენის ქვეშ მოგაქციოთ; არ გახდეთ თანაზიარნი ფსევდოკულტურისა, რომელიც ამახინჯებს ფსიქიკას, აუხემებს გრძნობებს და აცარიელებს შინაგან სამყაროს. შეიყვარეთ წიგნი, ისწავლეთ ღრმა აზროვნება, ისწავლეთ ღვთის შიში და სიყვარული, რომ ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყნის ერთგული მეციხოვნენი გახდეთ.

ბოროტის გავლენისგან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ეს მხოლოდ ძლიერ პიროვნებებს შეუძლიათ, ანუ მათ, რომელნიც საკუთარ ნებას გააზრებულად უმორჩილებენ ღვთის ნებას და ამქვეყნიურ საცდურთა წინააღმდეგ ბრძოლას არ უშინდებიან. ყოველი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ასეთი პიროვნება უნდა იყოს, - ჭეშმარიტად თავისუფალი და სულიერად ძლიერი, რათა ერს ხერხემლად ექცეს. ასეთი ადამიანების აღზრდის საქმეში ეკლესიას დიდი როლი აკისრია...

...საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს მიუახლოვდა ადამიანთა თანასწორობის შესახებ ღირებულებათა იმ სტანდარტებს და ფასეულობებს, რასაც ეკლესია ოცი საუკუნის წინ ქადაგებდა. მონათმფლობელობის და ფეოდალიზმის პერიოდში, ძალმომრეობისა და დაუხდობლობის ხანაში, ქრისტეს სახანრება მოუწოდებდა ხალხს თანასწორობისკენ.

ყოველი ადამიანის ცხოვრება აბსოლუტურად თავისუფალია და ეკლესიის ნევრობაც მხოლოდ მის თავისუფალ ნებაზეა დაფუძნებული. მრევლის თითოეული წევრი მხოლოდ საკუთარი სინდისითა დაკავშირებული მოძღვართან და ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლოც სინანულისა მხოლოდ მის პირად პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული - ადამიანი დამოუკიდებლად წყვეტს, რას იტყვის აღსარებაში და რამდენად იქნება ეს ნათქვამი სინანულით გაჯერებული.

სრული თავისუფლებით მომქმედი და, ამავე დროს, ჭეშმარიტი სინანულით განმსჭვალული პიროვნება იღებს სულიწმინდის მადლს, რომელიც ცვლის მის სულიერ და ყოფით სამყაროს და მას ღვთის სათნო შვილად აქცევს; შემდეგ კი იგი უკვე თვითონ ხდება გზის მარჩეველი სხვათათვის; ამაზე წერდა წმინდა სერაფიმე საროვენსა: **მოიხვეყნე სულიწმინდის მადლი და შენს გარშემო ათასები ცხონდებიანო.** თითოეული ჩვენგანი ვალდებულია მოიპოვოს სულის სიღრმეში დამალული უფლისგან ბოძებული ეს საჩუქარი, ვალდებულია ააღორცილოს იგი, რათა ღირსეულად აღასრულოს თავისი ვალი ამ ნუთისოფელში და შემდეგ ჩვენს დიდებულ წინაპართა მსგავსად ზეცის მოქალაქეობა მოიპოვოს...

ქვეყნურ ჯანდაცვით სისტემის, ქვეყნის სამედიცინო განვითარების, დაბრუნების 90-ე წლისღს

მრავლობითი ჰამარტომის სინდრომი და მასთან ასოცირებული დაავადებები



ბოლო წლებში ექიმთა დიდი ყურადღება მიიპყრო ე.წ. მრავლობითი ჰამარტომის სინდრომმა. მას სხვანაირად კაუდენის სინდრომსაც უწოდებენ. კაუდენი არის იმ პაციენტის გვარი, რომელსაც, პირადად თვითონ და მისი ოჯახის წევრებსაც, ჰქონდათ კეთილთვისებიანი სხვადასხვა პრეკანცერული სიმსივნე ფარისებრ ჯირკვალზე, ძუძუზე, საშვილოსნო-საკვერცხეებზე, ნაღვლის ბუშტში, მსხვილ ნაწლავში, კანზე, ღრძილებზე, პირის ღრუს ლორწოვანზე და სხვ.

მრავლობითი ჰამარტომის სინდრომის დროს ქალებს 25-50 %-ში უვითარდებათ სარძევე ჯირკვლის კიბო (რობინსი და კოტრანი, 2004 წ. „დაავადებათა პათოლოგიური საფუძვლები“, VII გამოცემა, გვ.1134).

ჯერ-ჯერობით უცნობია მრავლობითი ჰამარტომის სინდრომის სიხშირე. ფიცპატრიკის ცნობილ დერმატოლოგიის სახელმძღვანელოში მოტანილია მრავლობითი ჰამარტომის სინდრომის 100-მდე შემთხვევა მსოფლიოში 1998 წლისთვის. ბოლო წლების მონაცემებით, საერთო პოპულაციაში ყოველ 200 000 ადამიანზე მოდის მრავლობითი ჰამარტომის სინდრომის 1 შემთხვევა. ამ სინდრომის გამომწვევი მიზეზი საბოლოოდ დადგენილი არ არის. მიუთითებენ, რომ შემთხვევათა 80%-ში გვხვდება ე.წ. PTEN გენის მუტაცია. ეს გენი ლოკალიზებულია 10q 22-23 ქრომოსომაში. PTEN არის აბრევიატურა (ფოსფატაზა და ტენზინის დელეცია (გადაგვარება)). ნორმაში ეს გენი აკონტროლებს სიმსივნის სუპრესორ ფოსფატაზას. ეს გადაგვარებული გენი გვხვდება გენეტიკური და სპორადიული სიმსივნეების დროს, როგორცაა, რეკლინჰაუზენის ნეიროფიბრომატოზი, ლიპომატოზი, პროტეუსის სინდრომი, ფიბრომატოზული გინგივიტი და სხვა (ჩენი და ჰაგიჩი, 2006, ინტერნეტის მონაცემები, ა. ისაკაძე, ე. ადამია).

ბოლო 25 წლის განმავლობაში ჩვენ შეგვხვდა ნეიროფიბრომატოზის 9, მადელუნგის სიმეტრიული ლიპომატოზის 8, პროტეუსის სინდრომის 2 და მრავლობითი ჰამარტომის სინდრომის 6 შემთხვევა. მრავლობითი ჰამარტომის სინდრომის დროს ჩვენ მიერ გამოვლენილ იქნა პაპილომები კანზე, ენაზე, ადენომები ფარისებრ ჯირკვალზე, ძუძუზე, მსხვილ ნაწლავში, პოლიპები ნაღვლის ბუშტში, პირის ღრუში, ცხვირის ლორწოვანზე, ფიბრომიომური კვანძები საშვილოსნოზე, ადენოკარცინომები საკვერცხეებზე, ფიბრომატოზული გინგივიტები და

სხვა. ქვემოთ განვიხილავთ ფიბრომატოზული გინგივიტის შემთხვევას, როცა 63 წლის მამაკაცს, ღრძილების ჰიპერტროფიის გამო, მთლიანად დაფარული ჰქონდა კბილები (იხ. სურათები: 1ა, 1ბ). იმავე ავადმყოფს, მარჯვენა ილიის ქვემოთ, აღენიშნებოდა თხლისოდენა პაპილომატოზური წარმონაქმნი, რომელიც ბოლო ორი წლის მანძილზე შესამჩნევად გაიზარდა (სურ.1 გ). უფრო მცირე ზომის – 3-4 მმ დიამეტრის პაპილომები ლოკალიზებული იყო მარჯვენა საფეთქელზე, თვალბუდის გარეთა კიდეზე და შუბლზე. აქვე იყო მცირე ზომის ნეუსები, რომლებიც ნელა, ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ მანძი იზრდებოდა. ავადმყოფს გაუკეთდა ჰიპერტროფიული ღრძილების

არტერიული ჰიპერტენზიის სამკურნალოდ ხანგრძლივად იყენებდა ამპლოდიპინს. როგორც პროფესორმა გოგი ქავთარაძემ ინტერნეტში მოიძია, ფიბრომატოზული გინგივიტის ზრდის მასტიმულირებელი თვისება გააჩნია კალციუმის არხის ბლოკერებს, მათ შორის, ამპლოდიპინს (2012 წ.). აღნიშნული დაავადებები პროფესორმა მანანა ივერიელმა.




ჩვენ შეგვხვდა ფიბრომატოზული გინგივიტები, ასოცირებული მეჭეჭებით, მტევნის თითების ზურგზე, პოლიპებით – ცხვირის ღრუში, ნაღვლის ბუშტში, კისტოზურ-ფიბროზული მასტოპათიით, ადენომებით ფარისებრ ჯირკვალზე, კვანძოვანი ფიბრომიომებით საშვილოსნოზე და სხვა (ხ. პაჭკორია, ს. ქემოკლიძე, ლ. ცინცაძე). განსაკუთრებით საინ-

სოლო მარჯვენა ილიის ქვემოთ – სხვადასხვა ზომის პაპილომი. ავადმყოფს ჯერ გაუკეთდა მარჯვენა მხრივი ჰემიკოლექტომია, შემდეგ – ქოლეცისტექტომია. ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევით დადგინდა მსხვილი ნაწლავის ადენოკარცინომა და ნაღვლის ბუშტის პოლიპი (ს. ქემოკლიძე, ი. თავზარაშვილი, მ. ჩხაიძე, 2010 წ.). ორი წლის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ჩივილები არა აქვს.

შემდეგი შემთხვევა ეხება რეკლინჰაუზენის ნეიროფიბრომატოზით დაავადებულ პაციენტებს. 28 წლის გაუთხოვარი ქალბატონი შემოვიდა ამბულატორიულ მიღებაზე დიარეით. ინსპექციით ყურადღება მიიპყრო სხვადასხვა ზომის კვანძოვანი კისტოზური ჰერმები (სურ. 2ა), ზურგზე რძიანი ყავისფერმა

ლი იყო მაგისტრალურ სისხლძარღვებზე, მისი ამოკვეთა ვერ მოხერხდა. ოპერაციიდან მეოთხედღეს ავადმყოფი გარდაიცვალა (ს. ქემოკლიძე, 2004 წ.).

მეორე, 40 წლის მამაკაცი, რეკლინჰაუზენის ნეიროფიბრომატოზით, თსსუ ცენტრალური კლინიკის ამბულატორიაში შემოვიდა 2011 წელს დიარეის დიაგნოზით. ყურადღებას იპყრობდა სუბნანიზმი (140 სმ, მცირე მასა – 42 კგ). (ხ. პაჭკორია, ც. კონცელიძე, მ. ბულიშვილი; 2011 წ.). იგი დამოუკიდებლად სიარულს ვერ ახერხებდა ატაქსიის გამო, მთელ მსულებზე აღენიშნებოდა სხვადასხვა ზომის სიმსივნური წარმონაქმნი (სურ. 3ა). ამავე პაციენტს, ენის ქვეშ, აღმოაჩნდა სანერწყვე ჯირკვლის ადენომა (პროფესორი ზ. გვენეტაძე, ნ. შენგელია, მ. სვანიძე,



ოპერაციული მოცილება (პროფესორი ზ. გვენეტაძე, ზ. სვანიძე; 2012 წ.). ოპერაციის შემდეგ გამოჩნდა კბილები ზედა და ქვედა ყბაზე (სურ.: 1დ, 1ე); (სურ. 1ვ – ამოკვეთილი ღრძილის ჰისტოგრამით ფიბრომატოზული გინგივიტი – ი. თავზარაშვილი, მ. ჩხაიძე, 2012 წ.).

ატლანტიკური, რომ ავადმყოფი ტერესოა ერთი შემთხვევა, როცა 48 წლის მამაკაცი შემოვიდა თსსუ ცენტრალური კლინიკის ამბულატორიაში დიარეის გამო. გამოკვლევებით გამოვლინდა ნაღვლის ბუშტის პოლიპი, ასწრივი კოლიჯის სიმსივნე, მასვე ენაზე ჰქონდა ორი პაპილომა, ღრძილების ჰიპერტროფიული ფიბრომატოზი (ხ. პაჭკორია, ლ. ცინცაძე, 2010),

ლაქებმა (ხ. პაჭკორია, რ. სიგუა, მ. ქორთუშვილი, მ. ბულიშვილი, 2004 წ.); მუცლის პალპაციით ისინჯებოდა დიდი ზომის სიმსივნური წარმონაქმნი. აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ კომპიუტერული ტომოგრაფიით გამოავლინა უზარმაზარი სიმსივნური წარმონაქმნი (სურ. 2ბ). აღსანიშნავია, რომ ავადმყოფის სისხლში IgA დონე მკვეთრად დაქვეითებული იყო. გაუკეთდა ოპერაცია. იმის გამო, რომ სიმსივნე ჩაზრდი-

ქნა მიტანილი თავის ტვინის ნეიროფიბრომატოზულ დაზიანებაზე, რაც დაავადებულ ნევროლოგმა მ. ქორთუშვილმა. კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ (დ. შელიამ) დაადასტურა 4X6 სმ სიმსივნის ზენოლა მოგრძო ტვინზე და მე-4 პარაკუჭზე (სურ. 3გ). სიმსივნე ამოიკვეთა პროფესორ გ. მაღალაშვილის მიერ 2011 წელს. ჰისტომორფოლო-

ქვეყნურ ჯანდაცვით სისტემის, ქვეყნის ჯანდაცვით სისტემის, ჯანდაცვით სისტემის 90-ე წლისღს

გოური კვლევით (პროფესორი გ.ბურკაძე, 2011 წ.); (სურ.3დ) დადგინდა ნეიროფიბრომა დისპლაზიის გარეშე. ავადმყოფის

ვადების სასარგებლოდ. ჩვენთან, ამბულატორიული მიღების დროს, ყურადღება გამახვილდა ლიპომატოზზე, რომელიც სიმეტრიულად



ვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებით და არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოზით. ინსპექციით ყურადღებას იპყრობდა

ჰემიკოლექტომია სიმსივნის გამო. ჰისტოლოგიურად – ნევრინომა. 2012 წელს, ამავე ავადმყოფს, „ავერის“ კლინიკაში გაუკეთდა ოპერაცია მუცლის ღრუს სიმსივნური დაავადების გამო. ოპერაციაზე გამოვლინდა მარჯვენა-ნაშრივი რეტროპერიტონალური სიმსივნე, მარჯვენა თირკმლის სიმსივნე, რომელიც ამოიკვეთა (კ.ქუთელია, ბ.სეფაშვილი, 2012 წ.) ამჯერად დაისვა ლიპოსარკომის დიაგნოზი (მ.დიდავა, 2012წ). ამის შემდეგ ავადმყოფი მუდმივად იმყოფებოდა ონკოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ. ბოლო დროს გაუძლიერდა ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში, მუცლის შებერილობა; კომპიუტერული ტომოგრაფიით აღინიშნა უარყოფითი დინამიკა. მარჯვენა თირკმლის სარეცელში და მუცლის ნახევარში აღინიშნა მოცულობითი წარმონაქმნი, რომელიც მცირე მენჯში ინტიმურადაა დაკავშირებული თქმის მაგისტრალურ სისხლძარღვებთან, თუმცა, ინვაზია არ ფიქსირდება. თრომბოემბოლიური გართულების თავიდან ასაცილებლად ჯერ გაკეთდა კავა-ფილტრის იმპლანტაცია. განხორციელდა ოპერაციის შემდგომი ეტაპი – მარჯვენა-ნაშრივი თქმის შიგნით არტერიის ემბოლიზაცია, ფემორო-ფემორული შუნტირება, შემდეგ – ლაპარატომია, თქმის ნაწილის დისტალური მონაკვეთის რეზექცია, ასწვრივ კოლინჯთან ერთად, ილო-ტრანსვერზო ანასტომოზის ფორმირებით გვერდით გვერდზე. დამატებით ამოიკვეთა მარჯვენა ფალოპის მილი და საკვერცხე, მუცლის მარჯვენა სწორი კუნთის უკანა კალთა და სუკის კუნთის ნაწილი. შემდეგ

გაკეთდა მარჯვენა თქმის არტერიის და ვენის ლიგირება და ამოკვეთა. ოპერაციის შემდგომი მძიმე აბდომინალური სისხლდენის გამო გაკეთდა რე-ლაპარატომია: მუცლის ღრუს რევიზია, სანაცია, დრენირება; გამოისახა მალაბსორციის სინდრომი, მძიმე, წყლიანი დიარეა. ამის მიზეზად ჩაითვალა თქმის ნაწილის დასწვრივი მონაკვეთის და მსხვილი ნაწილის პროქსიმალური ნაწილის ამოკვეთის შედეგად განვითარებული ნაღვლის მუჯების შენთვის მკვეთრი დაქვეითება და მათი ჭარბი ექსკრესია სწორ ნაწილში. აქ განვითარდა ირიტაციული დაზიანება, ანთება, ტკივილი, ქავილი და წყლიანი დიარეა. ავადმყოფს დაენიშნა ნაღვლის მუჯების საუკეთესო აღსორბენტი – ნეო-სორბი (ასკანის თიხის ტაბლეტირებული ფორმა). მისი მიღების შემდეგ დიარეა შემცირდა, განავალი შესამჩნევად გაფორმდა, მოესხნა წვა, ქავილი და ტკივილი ანალურ მიდამოში. განვითარდა შეკრულობა, რაც ნეო-სორბის დოზის შემცირების შემდეგ გაქრა.

ამრიგად, ჩვენ მიერ, პირველად ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში, ნაჩვენებია მრავლობითი ჰეპატომის სინდრომის მრავალფეროვანი კლინიკური ფორმები, რომელთა დროული გამოვლენა დამაკმაყოფილებელი მკურნალობის საწინდარია.

ბ. პაჭორია, ზ. გვინაძე, ი. თაყაიშვილი, ს. ქაშიშვილი, დ. შალია, ლ. ცინცაძე, მ. ჩხაიძე, მ. ქორთუშვილი, ნ. გვინაძე, ბ. გვინაძე, მ. სპინაძე.



იყო განლაგებული ზედა და ქვედა კიდურებზე (სურ.4ა). ჰაერის უკმარისობის მიზეზის ძიებისას საჭიროდ ჩაითვალა შუასაყრის კომპიუტერული ტომოგრაფიის გაკეთება. გამოკვლევით გამოვლინდა დიდი ზომის სიმსივნური წარმონაქმნი, სავარაუდოდ – ლიპომა (დ. შელია, 2011 წ.). (სურ. 4ა); ლიტერატურაში აღწერილია ლიპომების გავრცელება მთელ სხეულზე, განსაკუთრებით საშიშია შუასაყარზე, რადგან იწვევს მაგისტრალურ სისხლძარღვებზე და ტრაქეაზე ზეწოლას, რაც განაპირობებს სუნთქვის გაძნელებას. აღწერილია შუასაყრის ლიპომების დროს ავადმყოფის მოხრჩობის მრავალი შემთხვევა. ავადმყოფს მიეცა ოპერაციული მკურნალობის რეკომენდაცია, რაზეც მან უარი განაცხადა. მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია.

2009 წელს თსსუ ცენტრალური კლინიკის ზოგადი თერაპიის განყოფილებაში მოთავსდა ავადმყოფი ქალი, 60 წლის, ფილტ-

უზარმაზარი მარჯვენა ძუძუ, ასევე, მარჯვენა-ნაშრივი ზედა და ქვედა კიდურების ზომების მომატება მარცხენასთან შედარებით (სურ.5), (მ.სულაქველიძე, მ.გვალა, ც.კონცელიძე). ასეთი ცალმხრივი ჰიპერტროფია (სახის, ყურების, კიდურების, ნუშისებრი და სათესლე ჯირკვლების, ძუძუს, თირკმლების) სამედიცინო ლიტერატურაში აღწერილია ე.წ. პროტეუსის სინდრომის სახელწოდებით (პროტეუსი, ძველი ბერძნული მითოლოგიით, ზღვის ერთ-ერთი ღვთაების სახელია, რომელსაც სურვილის მიხედვით შეეძლო გაეზარდა ხელ-ფეხი, ყურები და სხვა ორგანო (ინტერნეტიდან – ც. კონცელიძე, მ. ბულიაშვილი).

დასასრულ უნდა გამოვყოთ ცალკე შემთხვევა, რომელიც ეხება 65 წლის ქალბატონს. მას 2004 წელს გაუკეთდა მარჯვენა-ნაშრივი

მედიცინა

მისი საქმე დღესაც მოხსნობს...



არაერთი თაობის აღმზრდელზე.

ბატონი ოთარი ყოველმხრივ შემკული პიროვნება, სწორუპოვარი მედიკოსი-სპეციალისტი, ბრწყინვალე ორგანიზატორი, მომხიბვლელი პიროვნული თვისებების მქონე – მაღალი ზნეობის, თავმდაბალი, ყველას მიმართ მზრუნველი, ვაჟკაცური გარეგნობის, ნრფელი ადამიანი გახლდათ.

სწორედ ასეთი სრულყოფილების შედეგი იყო ის ტრადიციები, რომელიც მან დაამკვიდრა დარგში, რომელსაც მთელი ცხოვრება ემსახურებოდა.

საოცრად მომთხოვნი იყო, როგორც საკუთარი თავის, ისე კოლეგების მიმართ.

უსაზღვრო იყო მისი სიყვარული სამშობლოსადმი. მძიმედ განიცადა 1991 წლის მიწურულს ჩვენში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირება, იმდენად მძიმედ, რომ ეს მოვლენები მისი ნაადრევი გარდაცვალების მიზეზი გახდა. იმხანად საგურამოში მყოფს, ურჩიეს, მლელვარების

დაცხრობამდე დედაქალაქში გამგზავრებისგან თავი შეეკავებინა, მაგრამ ბატონმა ოთარმა კარგად უწყოდა, რომ მისი საექიმო გამოცდილება იმუხამად განსაკუთრებით აუცილებელი იყო თბილისელებისთვის, ამიტომაც საკუთარი მანქანით გამოემგზავრა დედაქალაქს. მცხეთას მოახლოებულმა, გულის არეში აუტანელი ტკივილი იგრძნო, მას უმძიმესი შეტევა განუვითარდა, რასაც ემსხვერპლა კიდევც...

ბატონი ოთარის შესახებ ბევრი მსმენია ჩემი სიძის – ამიერკავკასიის საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის მთავარი თერაპევტის, ნიკოლოზ ოტვერჩენკოსგან, რომელიც მასთან ერთად სწავლობდა ვლადიკავკაზის სამედიცინო ინსტიტუტში. მათი სანიმუშო მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

პირადადაც დიდად ვარ დავალებული ბატონი ოთარისგან. დაუვიწყარია ჩემთვის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მუშაობისას, მან, როგორც

ხელმძღვანელმა, ვაჟკაცურად ჩამომართვა ხელი და დამლოცა – „ღმერთი შენკენო!“ რამდენიმე წლის შემდეგ კი, რასაც მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, მისმა ქალიშვილმა, მამის დარმა მშვენიერმა ქალბატონმა მარინა ლუდუშაურმა, მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, „ღირსების ორდენი“ გადმომცა.

დღეს მამის საქმეს სწორედ ქალბატონი მარინა აგრძელებს აკადემიკოს ოთარ ლუდუშაურის მიერ შექმნილ და მისი სახელის მქონე სამკურნალო ცენტრში, რომლის პაციენტიც თავად გახლდით ამ რამდენიმე დღის წინ.

უსაზღვრო მადლიერების გრძნობა მეუფლება ამ შესანიშნავი სამედიცინო-პრაქტიკული ცენტრის კოლექტივისადმი, სადაც სრულად შეიგრძნობა მისი დამაარსებლის, ბატონი ოთარ ლუდუშაურის, უდიდესი პროფესიონალიზმი და განუმეორებელი სულიერება. თამამად ვიტყვი, რომ, პრაქტიკულად, ამ კოლექტივის დაუღალავი მეცადინეობით გამოვ-

ჯამრთელდი და კვლავ ვუბრუნდები ჩემს ალმა-მატერს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს.

... თბილისში, საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში, წმინდა გიორგის მინიატურული ეკლესიის მახლობლად, ერთ-ერთ მოკრძალებულ სტელაზე, შენიშნავთ წარწერას, რომელიც გვაუწყებს, რომ იქ განისვენებს სამშობლოსადმი ვალმოხდილი, უდიდესი პატრიოტი, აკადემიკოსი ოთარ ლუდუშაური.

ბატონი ოთარის კეთილი საქმენი კი, მისივე სახელობის სამკურნალო ცენტრში, დღესაც გრძელდება – ქვეყნის მასშტაბით გამორჩეულ და სანიმუშო სამკურნალო დაწესებულებაში.

ვადიმ სააკაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მედიცინის, პროფილაქტიკური მედიცინის, სამედიცინო-ბიოლოგიური და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიების წევრი.

